



GOV 0 20 00025122



01/07/2020

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილია „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონების პროექტების დაჩქარებული წესით განხილვა, ვინაიდან, ინიციატივის მიღების დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესს და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში საქართველოს, როგორც სახელმწიფო კონკურენტუნარიანობას რეგიონული მასშტაბით, ასევე ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში ავტორიზებული/ლიცენზიის მფლობელი პირებისა და მილიონობით მომხმარებლის კანონიერ ინტერესებს. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომ - კომისია) წინაშე მწვავედ დგას ის პრობლემა, რომ ცალკეულ შემთხვევებში კომისიის მიერ მიღებული უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების აღსარულულად კანონით დადგენილ სანქციებს ხშირად ეფექტი არ აქვს და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აღუსრულებელი რჩება. მოქმედი კანონმდებლობით კომისიას გარდა ჯარიმისა და ავტორიზაციის შეჩერებისა, საკუთარი გადაწყვეტილების აღსრულების სხვა მექანიზმი არ გააჩნია. ჯარიმებს, ხშირ შემთხვევაში ეფექტი არ აქვს, ხოლო ავტორიზაციის შეჩერებამ/ლიცენზიის გაუქმებამ კი ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა უდიდესი ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკას, საზოგადოებრივ ინტერესს, სხვა ავტორიზებულ პირებს და მომხმარებლებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კრიტიკულად აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილების დაუყოვნებლივ განხორციელება და კომისიისთვის მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისთვის შესაბამისი მექანიზმების შექმნა. ამდენად, კომისიისთვის საკანონმდებლო ცვლილებებით წარმოდგენილი უფლებამოსილების დროული მინიჭების გარეშე, შეიძლება დაზიანდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესები, ქვეყნის ეკონომიკური ინტერესი და რეგიონული კონკურენტუნარიანობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კანონპროექტების მიღება მოხდეს დაჩქარებული წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 117-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა საქართველოს პარლამენტის მიერ განხილულ და მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით.

ამასთან, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გაცნობებთ, რომ აღნიშნული კანონპროექტები ასახული არ ყოფილა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებულ საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში, ვინაიდან, წარმოდგენილი კანონპროექტის ინიცირების აუცილებლობა ზემოაღნიშნული არგუმენტების გათვალისწინებით, დადგა აღნიშნული გეგმის საქართველოს პარლამენტში წარმოდგენის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე,
მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ბექა დოჭვირი

